

დამტკიცებულია „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის“
დირექტორის მიერ



შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“

DTMUN

2022 წელი

ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროცესების მართვის მექანიზმი

ინფრასტრუქტურისა და საქმიანობის პროცესში გამოყენებული სისტემის აღწერა

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯს აქვს სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის შეუფერხებელი წარმართვისთვის აუცილებელი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა.

აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით. ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო ასევე კაბელიანი ინტერნეტი.

კოლეჯს აქვს სერვერი, 33 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი B ტიპის გარემო, ასევე სასწავლო მიზნებისთვის პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ სარგებლობის მიზნით კომპიუტერები განლაგებულია A ტიპის გარემოში, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებს და პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერებით.

პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემით. დაწესებულებას შესყიდული აქვს ელექტრონული სისტემა, რომელშიდაც ჩართულია კოლეჯის პერსონალი და პროფესიული სტუდენტები. სისტემა მუშაობს სატესტო რეჟიმში. როგორც კი აღნიშნული პროგრამა გადაერთვება სატესტო რეჟიმიდან ლაივ(მიმდინარე) რეჟიმზე, დაწესებულება აამოქმედებს პერსონალურ მონაცემთა მიღების და დამუშავების საკითხს, რომელიც წინასწარი თანხმობით განისაზღვრება სუბიექტის (სტუდენტის / პერსონალის) მიერ. ამჟამად მსგავს სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემები მოწოდებულია სუბიექტის მიერ იმ ფაქტის აგცნობიერებით, რომ სისტემა სატესტო რეჟიმშია, და არ არის სრულ მომსახურებაში ჩაშვებული.

IT რისკების მართვის საპასუხოდ ASA-ს სისტემაზე დაყენებული დაცვის მექანიზმი, საშუალებას აძლევს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სრულიად აკონტროლოს შიდა სისტემური არხების ტრეფიკი (მოსული დატვირთვა ინტერნეტ პროვაიდერზე) და არსებული ან/და მოსალოდნელი საფრთხის შემთხვევაში დახუროს მიმღები არხი, და სპეციალურ ღრუბლოვან საცავზე გადავიდეს შიდა პერსონალური მონაცემები.

პერსონალისა და სტუდენტების მოთხოვნის შესაბამისად შიდა ინფორმაციული ტექნიკა, რაც ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ სუბიექტების მიერ მოხმარებას, მათივე მოთხოვნის შესაბამისად, სისტემურ დიაგნოსტიკასა და განახლებას გადის ყოველი თვის წინასწარ შერჩეულ დღესა და ჩამოყალიბებული ცვლილებების შესაბამისად:

1. იქნება ეს სააპლიკაციო ინფრასტრუქტურას მორგებული მოთხოვნა
2. შიდა სისტემური განახლება
3. წდომა სხვადასხვა სასწავლო რესურსებზე
4. გაუმჯობესება/განახლება არსებული მოხმარების აპლიკაციების

გარდა ამისა, ინფრასტრუქტურული გამართულობა მოწმდება ტექნიკისადმი ჩივილების გამოხატვისას დაუყოვნებლივ, ან გეგმიური შემოწმების საფუძველზე (ერთ ან/და სამ თვეში ერთხელ).

არსებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის მიმოხილვა

1. საოფისე სივრცისთვის, შიდა ადმინისტრაციული მომსახურებისთვის განკუთვნილი ოთხი პერსონალური კომპიუტერი თავიანთი პრონტერ-დანადგარებით, რომელიც განკუთვნილია ადმინისტრაციული პერსონალისთვის და ნებისმიერ გარე პირს არ აქვს წდომა მითითებულ სივრცეზე. იმავე დანიშნულებით კოლეჯის ტერიტორიაზე განთავსებულია ორი ლეპტოპ კომპიუტერი, შიდა ადმინისტრაციული მოთხოვნების შესაბამისად:
 - არსებული ტექნიკა ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს, გეგმიური სამეთვალყურეო შემოწმებას ერთჯერადად ყოველ სამ თვიან პერიოდში.
 - არსებული ტექნიკა არის ადმინისტრაციული მოხმარებისამებრ შერჩეული: intel core I7 -ის IX თაობის პროცესორითა და მინიმუმი მოხმარების 8 GB შიდა ოპერატიული მეხსიერებით.
2. კოლეჯის ტერიტორიაზე, სასწავლო მიზნებისთვის, ყველა აუდიტორია აღჭურვილია ლეპტოპ კომპიუტერებით, კვების წყაროთი, სასწავლო დანიშნულებისთვის გამოყენებადი პროექტორითა და ხმის გამაძლიერებლებით.
 - არსებული ტექნიკა ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს, გეგმიური სამეთვალყურეო შემოწმებას ერთჯერადად ყოველ სამ თვიან პერიოდში.
 - არსებული ტექნიკა არის ადმინისტრაციული მოხმარებისამებრ შერჩეული: intel core I7 -ის IX თაობის პროცესორითა და მინიმუმი მოხმარების 8 GB შიდა ოპერატიული მეხსიერებით.
3. კოლეჯის ტერიტორიაზე, საბიბლიოთეკო სივრცეში განაწილებულია ორი პერსონალური კომპიუტერი სტუდენტებისთვის საჭიროებისამებრ გამოსაყენებლად. ზემოთხსენებულ ტექნიკას არ აქვს ქსელური შეზღუდვა არცერთ ვებ-საიტსა თუ აპლიკაციაზე.

- არსებული ტექნიკა ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს, გეგმიური სამეთვალყურეო შემოწმებას ერთჯერადად ყოველ სამ თვიან პერიოდში.
 - არსებული ტექნიკა არის ადმინისტრაციული მოხმარებისამებრ შერჩეული: intel core I7 -ის IX თაობის პროცესორითა და მინიმუმი მოხმარების 8 GB შიდა ოპერატიული მეხსიერებით.
4. კოლეჯს აქვს ერთი საგამოცდო აუდიტორია, რომელიც აღჭურვლია 17 პერსონალური კომპიუტერით, მოცემულ საგამოცდო დანადგარებს უწყვეტი კვების ბლოკთან ერთად ამუშავებს კოლეჯის ადმინისტრაცია აუცილებლობის შესაბამისად. აუდიტორიაში არსებული ყველა ტექნიკა შეზღუდულია ქსელურ წვდომასთან, რაც ითვალისწინებს იმას, რომ არ აქვთ წვდომა საგამოცდო პროგრამების გარდა არსებულ რაიმე ვებ-საიტსა თუ აპლიკაციაზე. ამას უზრუნველყოფს კოლეჯში დაყენებული ქსელური სისტემის ASA-ს ტიპის სერვერი, რომლითაც მონიტორინგს უწევს კოლეჯის ტექნიკური დაწესებულება საგამოცდო ოთახის კომპიუტერებს.
- არსებული ტექნიკა ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს, გეგმიური სამეთვალყურეო შემოწმებას ერთჯერადად ყოველ ერთ თვიან პერიოდში.
 - არსებული ტექნიკა არის ადმინისტრაციული მოხმარებისამებრ შერჩეული: intel core I7 -ის IX თაობის პროცესორითა და მინიმუმი მოხმარების 8 GB შიდა ოპერატიული მეხსიერებით.

ამრიგად, ზემოთ ნახსენები ფიზიკური ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს კოლეჯის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას და სრულიად შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, მათ შორის მონიტორინგისა და დამატებითი საჭიროებების გამოვლენა/აღმოფხვრის თვალსაზრისით.